ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI

ოქმი:ო65. 6522318001
თარიღი:14/11/2022

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N12

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 10. 11. 2022 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **- ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი: *ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, დავით ხარძეიშვილი, შოთა გიორგაძე, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, ტარიელ ბარამიძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი, კობა ძაგნიძე.*

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრიგოლ მატარაძე, ბიჭიკო პაიკიძე, ალექსანდრე მჟავანაძე, გიორგი ტყეშელაშვილი,

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - **კობა მაღლაკელიძე;**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი **- ლუიზა ჯოგლიძე;**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- **სალომე ფახურიძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;

მომხს: /გიორგი ივანიაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, ოქტომბრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს: /გელა ჩიკვაიძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ;

მომხს: /გელა ვარდოსანიძე/

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ;

მომხს: /კობა ტოხვაძე/

5. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ;

მომხს: /გიორგი ივანიაძე /

6. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ;

მომხს: /რამაზ არველაძე/

7. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ;

მომხს: /ვლადიმერ ჭვალაძე/

8. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა განმარტა, რომ „სტრატეგიის პროექტი განხილულ იქნა გენდერული საბჭოს სხდომაზე, დოკუმენტი ასახავს ყველა იმ მნიშვნელოვან საჭიროებას გენდერული მიმართულებით, რომელიც აქტუალურია როგორც ქვეყნის, ისე მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგია (შემდგომში - სტრატეგია) შედგება 11 მუხლისგან და განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერულ პოლიტიკას, მის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და განვითარების პრიორიტეტებს.

სტრატეგია წარმოადგენს ვანის მუნიციპალიტეტში გენდერული პოლიტიკის სფეროში სამოქმედო გეგმის და მისგან გამომდინარე პროგრამული ღონისძიებების შემუშავების საფუძველს და მიმართულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებებისა და

თავისუფლებების უზრუნველყოფის, ამ უფლებათა რეალიზების თანაბარი შესაძლებლობების შექმნის, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული გენდერული თანასწორობის პრინციპების განხორციელებისაკენ.

სტრატეგია ეფუძნება გენდერული თანასწორობის პრინციპებს მუნიციპალური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განსაზღვრავს შესაბამის ღონისძიებებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის, აგრეთვე გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ასევე სტრატეგია ეფუძნება ერთიან, კომპლექსურ მიდგომას, რომლის თანახმად, თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას, მათი ინტერესების შესწავლას, თანაბრად წარმოჩენასა და გათვალისწინებას გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა. ვანის მუნიციპალიტეტის სამსახურების საქმიანობის პროცესში უზრუნველყოფენ გენდერული ასპექტების გათვალისწინებას, გენდერული თანასწორობის დაცვას და თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობისთვის საჭირო გარემოს შექმნას.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგია ასახავს იმ მნიშვნელოვან საჭიროებებს, რომლებიც უკავშირდება პირველ რიგში გენდერული საბჭოს მუშაობის პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს და კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ სოხუმის მიერ განხორციელებულ პროექტის *„გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“* ფარგლებში სამიზნე მუნიციპალიტეტების მერიებსა და საკრებულოებში საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის რეალიზების მონიტორინგისთვის ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარებულ კვლევას, რომელმაც გამოავლინა შემდეგი პრიორიტეტები:

ა) ვანის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის სამართლებრივ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ბ) მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;

გ) კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;

დ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სფეროებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;

ე) გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

ვ) ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა;

ზ) გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, წარმოგინდენთ დასამტკიცებლად აღნიშნულ სტრატეგიას.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“;

დადგენილება: N 21

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, ოქტომბრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2022 წლის 07 ნოემბრის N65-6522311001 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საკრებულოს წევრ არათანამდებობის მქონე პირებს ოქტომბრის თვის ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 675 (ექვსას სამოცდათხუთმეტი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.“

განკარგულება: გ-65.6522314001

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ივანიაძემ განმარტა, რომ ბიუროს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ვანის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა მაქსიმალური რაოდენობისა და კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“, რომლის მიხედვითაც ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრა 13 წევრით, ხოლო კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები გადანაწილდა შემდეგნაირად: ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - 8 წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 3 წევრი და უფრაქციო დეპუტატები - 2 წევრი.

აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე კომისიის თავმჯდომარეებმა უნდა წარმოადგინონ განკარგულების პროექტები ვანის მუნიციპალიტეტის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით გელა ვარდოსანიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიხედვით ცნობად იქნეს მიღებული ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობა:

1. გელა ვარდოსანიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო;“

2. შალვა ლორთქიფანიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო;“

3. შოთა გიორგაძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო;“

4. დავით ხარძეიშვილი - უფრაქციო;

5. სანდრო ხურციძე - -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო;“

6. გიორგი ტყეშელაშვილი -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო;“

7. ბიჭიკო პაიკიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

8. გიორგი ივანიაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

9. კობა ტოხვაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

10. ალექსანდრე მჟავანაძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;

11. ნატო დვალი - ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“

განკარგულება: გ-65.65223143

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით კობა ტოხვაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიხედვით ცნობად იქნეს მიღებული ვანის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის შემადგენლობა, რომელიც განისაზღვრა 11 წევრის შემადგენლობით:

1. კობა ტოხვაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

2. ლანა გოგოძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

3. გიორგი ტყეშელაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

4. ივანე კორძაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

5. თეონა ადეიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

6. ლია დიასამიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

7. თამარ შენგელია -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

8. გელა ღვიტიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

9. კობა ძაგნიძე - უფრაქციო;

10. ალექსანდრე მჟავანაძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;

11. თორნიკე ერისთავი - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“;

განკარგულება: გ-65.65223145

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ცნობად

მიღების შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, განკარგულების პროექტის მიხედვით ცნობად იქნეს მიღებული ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობა:

1.გელა ჩიკვაიძე - უფრაქციო;

2. შოთა გიორგაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

3. გელა ვარდოსანიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

4. ილია დვალიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

5. ივანე კორძაძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

6. ტარიელ ბარამიძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

7. მაკა ზარნაძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

8.სანდრო ხურციძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

9. ლანა გოგოძე - -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

10. თორნიკე ერისთავი - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;“

11. დავით კაკაბაძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“;

განკარგულება: გ-65.65223142

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით რამაზ არველაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“;

მომხსენებელმა განმარტა, რომ განკარგულების პროექტის მიხედვით ცნობად იქნეს მიღებული ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობა:

1. რამაზ არველაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

2. დავით ხარძეიშვილი - უფრაქციო;

3. ეთერ ჭიჭინაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

4. მაკა ზარნაძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

5. ლია დიასამიძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

6. ილია დვალიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

7. გელა ღვიტიძე. - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

8. ვლადიმერ ჭვალაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

9. ბიჭიკო პაიკიძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

10. ნატო დვალი - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;

11. დავით კაკაბაძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;

12. კობა ძაგნიძე - უფრაქციო.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“

განკარგულება: გ-65.65223146

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით ვლადიმერ ჭვალაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“;

მომხსენებელმა განმარტა, რომ განკარგულების პროექტის მიხედვით ცნობად იქნეს მიღებული ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობა,

1. ვლადიმერ ჭვალაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

2. გიორგი ივანიაძე- ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

3. თამარ შენგელია- ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

4. ეთერი ჭიჭინაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

5. შალვა ლორთქიფანიძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

6. ტარიელ ბარამიძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

7. თეონა ადეიშვილი -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

8. რამაზ არველაძე - -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

9. გრიგოლ მატარაძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა";

10. ლიზა ტყეშელაშვილი - ფრაქცის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ";

განკარგულება: გ-65.65223144

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ივანიაძემ განმარტა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის გელა ჩიკვაიძის მიერ საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" დატოვების გამო, იგი ავტომატურად ითვლება საკრებულოს ამ კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადამდგარად, ამისთვის საჭიროა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები, რომლის ჩატარებასაც ბიულეტენების მეშვეობით უზრუნველყოფს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია. მან სთხოვა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ კანდიდატურები ფარული კენჭისყრის ბიულეტენში მათი შეყვანის მიზნით.

საკრებულოს წევრმა დავით ხარძეიშვილმა სხდომას წარუდგინა საკრებულოს წევრების: *დავით ხარძეიშვილის, კობა ტოხვაძის, გელა ვარდოსანიძის, შოთა გიორგაძის, გიორგი ივანიაძის, გელა ღვიტიძის და ტარიელ ბარამიძის* ერთობლივი განცხადება და ამ თანამდებობაზე წარადგინა გელა ჩიკვაიძის კანდიდატურა.

სხვა კანდიდატურა დასახელებული არ ყოფილა, დასახელებულს საკუთარი კანდიდატურისთვის აცილება არ მიუცია, ამდენად ფარული კენჭისყრის ბიულეტინში შეყვანილ იქნა მხოლოდ გელა ჩიკვაიზის კანდიდატურა.

ამის შემდეგ გამოცხადდა 5 წუთიანი შესვენება, დამზადდა ფარული კენჭისყრის ბიულეტენები და კენჭისყრაში მონაწილეთა სია. სხდომის განახლებისას საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ ჭვალაძემ კენჭისყრის მონაწილეებს გააცნო ხმის მიცემის პროცედურა.

შესვენებისას სხდომა დატოვა საკრებულოს 5-მა წევრმა: *თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი და კობა ძაგნიძე.*

გაიმართა ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგები საკრებულოს წევრებს გააცნო ვლადიმერ ჭვალაძემ. მან აღნიშნა:

გაცემული იყო 21 ბიულეტენი

ყუთში აღმოჩნდა - 21 ბიულეტენი, მათ შორის ბათილი - 0

მომხრე - 21

წინაარმდეგი - 0

გადაწყვიტეს: ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ***გელა ჩიკვაიძე.***

განკარგულება: გ-65.65223147

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი